

საქართველოს კანონი
„მოსაკრებლების სისტემის საფუძვლების შესახებ“
საქართველოს კანონში დამატების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „მოსაკრებლების სისტემის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის (პარლამენტის უწყებანი, №8-9, 1998, გვ.8) მე-5 მუხლის მეორე პუნქტს დაემატოს „პ“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

„პ) ავტოსატრანსპორტო საშუალებების გზისთვის ვარგისობაზე ტესტირების ფირნიშის ბლანკის დამზადება-გადაცემის მოსაკრებელი“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2008 წლის პირველი იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტის
მოვალეობის შემსრულებელი

ნინო ბურჯანაძე